

შპს „საწნახელი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2023წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისდასხვასრულიშემოსავლისანგარიშგება	4
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	5
საკუთარიკაპიტალისცვლილებებისანგარიშგება	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	7
2 წარდგენის საფუძვლები	7
3 ბუღალტრულიაღრიცხვისმნიშვნელოვანიპოლიტიკა	8-11
4 ძირითადი საშუალებები	11
5 არამატერიალური აქტივები	11
6 ფული და ფულის ექვივალენტები	11
7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12
8 მარაგები	12
9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12
10 გრძელვადიანი ვალდებულებები	12
11 კაპიტალი	12
ზოგადი მიზნები და პოლიტიკა	13
საბაზრო რისკები	13
12 პირობითი ვალდებულებები	13
13 საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	13

შპს „საწნახელი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2 022	31/12/2 021	31/12/2 020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	888684	465515	180176
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	460143	482777	604563
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	350087	376400	0
მარაგები სულ	648504	581049	593858
ბიოლოგიური აქტივები	122520	36695	34814
სხვა არამატერიალური აქტივები	2097	2097	0
ძირითადი საშუალებები	895319	944715	575269
სულ აქტივები	3367354	2889248	1988680
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2557	143034	45235
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1500	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	23902	39958	0
სხვა ვალდებულებები	261594	129473	0
სულ ვალდებულებები	289553	312465	45235
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3077801	2576783	1943445
სულ საკუთარი კაპიტალი	3077801	2576783	1943445
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3367354	2889248	1988680
სულ მოკლევადიანი აქტივები	2347418	1905741	1378597
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	27959	182993	45235

დირექტორი:

კ.ჭოტიაშვილი

14,09,2023

შპს „საწნახელი“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წელი

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები	022	021
ნეტო ამონაგები	1692350	1514802
საქონლის გაყიდვიდან	1692350	1490842
სხვა	0	23960
გაყიდვების თვითღირებულება	-434416	-317723
საერთო მოგება	1257934	1197079
დასაქმებულთა ანაზღაურება	-56454	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-69078	-52097
იჯარის ხარჯი	-12500	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-115925	-281838
სულ საოპერაციო ხარჯები	-253957	-333935
საოპერაციო მოგება	1003977	863144
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-45005	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-78154	0
მოგების გადასახადის ხარჯი	880818	863144
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-132123	-129472
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	748695	733672
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	748695	733672
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2576783	1943445
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-247677	-123839
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	23505
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3077801	2576783

დირექტორი:
ჭოტიაშვილი კახა



14,09,2023

შპს „საწნახელი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	467125	385339
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-100000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	467125	285339
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-43956	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	465515	180176
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	888684	465515

დირექტორი:

14,09,2023



კ. ჭოტიაშვილი

შპს „საწნახელი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წელი

დასახელება	კომპანიის კაპიტალი	სხვა ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2020წ.	0		1841096	1841096
საანგარიშგებო პერიოდში გაცემული დივიდენტი			-357895	-357895
მოგება 2020 წლის			460244	460244
ნაშთი 01 იანვარი 2021	0		1943445	1943445
საანგარიშგებო წლის მოგება			733672	733672
შეცდომების გასწორება		23505		23505
საანგარიშგებო პერიოდში გაცემული დივიდენტი			-123839	-123839
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	0	23505	2553278	2576783
საანგარიშგებო წლის მოგება 2022			748695	748695
საანგარიშგებო პერიოდში გაცემული დივიდენტი 2022			-247678	-247678
ნაშთი 31 დეკემბერი 2022			3077801	3077801

დირექტორი:

14,09,2023



კ. ჭოტიშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საწახელი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2013 წლის 2 სექტემბერს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. (ს/5431170010). მისამართი: საქართველო, თელავი, ს. სანიორე, მე-7, I ჩიხი, №1 კომპანიის 1. 50%-იანი წილის მფლობელია: უჩა ჭოტიაშვილი, 20001004988.

2. 50%-იანი წილის მფლობელია: კახა ჭოტიაშვილი, 20001013343.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. საქართველოს ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სხვადასხვა ჯიშის ვაზის კულტურის მოშენება და მაღალი ხარისხის ყურძნის მოსავლის მიღება;

საკუთარი ვენახებიდან და, ასევე, სხვადასხვა პირებისაგან შესყიდული ყურძნისგან მაღალი ხარისხის ვანილიზონის წარმოება და რეალიზაცია;

კომპანიის დირექტორია: კახა ჭოტიაშვილი, 20001013343

კომპანიის მთავარი ბუღალტერია: ნანა ნაცვლიშვილი. 01013028302

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსსფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

კომპანიამ შეადგინა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის პერიოდში, თუმცა ის არიყო შედგენილი მსსფასს სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსსფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31 დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2,7020
1 ევრო/ლარი	2,8844

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მასმერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგც ხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

შენობები

მანქანა დანადგარები

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

30 წელი

10-15 წელი

საოფისე ავეჯი და ინვენტარი
კომპიუტერული ტექნიკა
ავტომობილები
იჯარით აღებული ქონების
კეთილმოწყობა

5-7 წელი
5 წელი
10 წელი
იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მოსახურების
ვადას შორის უმცირესი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

3.5 იჯარა

იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტოსარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მხოლოდ ფულს საბანკო ანგარიშზე,

3.8 სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები კომპანიას არ გააჩნია

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინაპერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში იქნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდასაწარმოთაგაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკანდაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთჩამოთვლილი პირობა არ ისმისრულებული: კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს; როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.12 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცემა ნაღდი ფულის წინასწარცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლია წინასწარცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების 2022 წელს

დასახელება	საბოლოო ნაშთი
მიწის ნაკვეთები	142328,47
დაუმთავრებელი მშენებლობა	76342,09
ნაგებობები	107223,5
მანქანა-დანადგარები	426482,57
ოფისისაღჭურვილობა	37684,7
ავეჯი და სხვაინვენტარი	15030,23
სატრანსპორტო საშუალებები	144585,83
იჯარიტაღებული ქონების კეთილმოწყობა	67899,7
სხვა ძირითადი საშუალებები	261,48
სულ	1017838,57

5. არამატერიალური აქტივები

დასახელება	საბოლოო ნაშთი
არამატერიალურ აქტივები	2097,45
სულ	2097,45

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	
ნაღდიფული საღაროში	0
ფული საბანკოანგარიშებზე	888683,84
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	888683,84

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022წ.
------------	--------------

მოთხოვნები:მიწოდებიდან და მომსახურებიდან	460143,17
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	350086,47
სულსავაჭროდასხვამოკლევადიანიმოთხოვნები	810229,64

8. მარაგები

კომპანიის მარაგები 2022 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.
ლენო მასალები	379059,34
მაკომპლექტებული ნაწილები	7759,4
ტარა	81648,16
დაუმთავრებელი წარმოება	637,76
მზა პროდუქცია	177051,82
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2347,87
სულ	648504,35

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2022 წლის მდდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022წ.
სავაჭრო ვალდებულებები	2556,86
საგადასახადო ვალდებულებები	23902,11
გადახადებული ხელფასები	1500
სულ	27958,97

10. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას საანგარიშო პერიოდის გრძელვადიანი ვალდებულებები:

დასახელება	31.12.2022წ.
გადავადებული მოგების გადასახადი	261594,27
სულ	261594,27

11. კაპიტალი

დასახელება	31.12.2022წ.
გაუნაწილებელი მოგება	3077800,61
სულ	3077800,61

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი კურსთა შორის სხვაობის გამო.

12.პირობითი ვალდებულება

პირობითი ვალდებულებები და მოთხოვნები კომპანიას არ გააჩნია

13.საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დირექტორი:



კ. ჭოტიაშვილი

14,09,2023